პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ივლისი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 163 (15680)

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი

ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ამ ყრილობაზე დამთავრდა რევოლუციურ მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების პროცესი და შეიქმნა რუსეთის მუშათა კლასის პარტია იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ბოლშევიკების პარტია, დიადი ლენინური პარტია. „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“. (ლენინი).

საქკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი რევოლუციური პოეზიის დღეები საქართველოში

კლასის ფონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა —
აი, პარტია.
ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

ვ. მაიაკოვსკი.

ვლადიმერ მაიაკოვსკის საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა სიტყვა

მთელი ხმით

ეს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში გაიმართება საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი.

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისაა ეს ყრილობა. სწორედ ამ ყრილობაზე დამთავრდა რევოლუციურ მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების პროცესი და შეიქმნა რუსეთის მუშათა კლასის პარტია, ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ბოლშევიკების პარტია.

„მას შემდეგ, — ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გზას ბადალი არა აქვს ისტორიაში... საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, გახდა მებრძოლი ავანგარდი მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს. პარტიაში, — წერდა ლენინი, — ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“.

როგორც ძლიერი და უკვდავი ხალხი, ცხოვრების შემოქმედი და ისტორიის მამძრავებელი ძალა, ისე ძლიერი და უკვდავია მწერლობა, რომელშიც როგორც სარკეში მთელი სისრულითა და სიმართლით, მთელი თავისი ავკარგიანობით აისახება ხალხის ცხოვრება, ხალხის შრომა და ბრძოლა, მისი ხაუკეთესო ფიქრები და მისწრაფებანი. ეს კეთილშობილური თვისებები ორგანულად აქვს შეთვისებული საბჭოთა მწერლობას. ამიტომაც არის, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებელ საბჭოთა ხალხს იგი თავის ბრძენ მრჩევლად და კეთილ მეგობრად დაუსახავს, უყვარს და ხელერა მისი მართალი სიტყვისა.

საბჭოთა ლიტერატურის მართალი მებრძოლი სიტყვა იბადებოდა, იწრთობოდა და იქედებოდა სახალხო რევოლუციის ქარტეხილებში. ლენინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომ სწორედ ამ მებრძოლი მწერლობის სათავეებთან იდგნენ მხატვრული სიტყვის ისეთი დიდოსტატები, როგორიც იყვნენ მაქსიმ გორკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი...

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება მთელი ეპოქაა რუსული, და არა მარტო რუსული კულტურის ისტორიაში. ეს არის იმის უშესანიშნავესი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ხალხის, პარტიის, რევოლუციის იდეალებისადმი უალრესად ერთგული შემოქმედი. ვლადიმერ მაიაკოვსკი ცხოვრების უძნელესსა, შემოქმედების ურთულესი გზებით მოვიდა რევოლუციასთან. მოვიდა, უყოყმანოდ დადგა მის მხარეზე, მისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში და საქვეყნოდ განაცხადა „ჩემი რევოლუცია!“

მთელი თავისი არსებით, საქმიანობით, მხატვრული სიტყვით პოეტი დაუნდობლად ებრძოდა ყოველივეს ძველს, დრომოჭმულს, ცხოვრების პროგრესის დამამუხრუჭებელ ბნელ ძალებს, ამკვიდრებდა ახალს, იყო მისი მუხლჩაუხრელი მშენებელი და შეუპოვარი დამცველი. „აშენე, იმ ძველის დანგრევაც მოასწრე და ახალ სართულებს ჩაუდექ დარაჯად!“ — მთელი ხმით მოუწოდებდა პოეტი და თვითონვე იძლეოდა ამის ხაუკეთესო მაგალითს.

ვლადიმერ მაიაკოვსკის იდეალი იყო ადამიანი-შემოქმედი, ადამიანი-მებრძოლი, რომელიც მთელი ენერგიით, მთელი მონდომებით იბრძვის და შრომობს, აშენებს ახალ ცხოვრებას, ახალ კომუნისტურ ყოფას, აშენებს მთელი გულით და მაღალხარისხოვნად. გავიხსენოთ სიტყვები მაიაკოვსკის ცნობილი საროგრამო ლექსიდან „მომართვა პროლეტარულ პოეტებს“ — „ხელს დავიმკლავებ შრომას, ბრძოლას რომ შევეგებო, მე მიყვარს, როცა კაცის ფუგლზე შრომის ოფლია. სქმე მრავალი ადგილიდან უკვე დაჭარით, მივცეთ ჩვენს ლენინს სიიოსლე და მეი ხალისი. ვიშრომოთ მეტი ძლიერებით, ღონით და ძალით, რაღაცნობას არ დავაკლოთ კარგი ხარისხიც“.

დიადი ოქტომბრის გარდამქმნელ და განმაახლებელ ძალთა ალეთოეზად ყლერდა და მარად იყლერებს ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, „კარგი!“, „მთელი ხმით“. მისი უკვდავი ლექსები „ამხანაგ ნეტტეს, ხომალდს და ადამიანს“, „სიმღერა საბჭოთა პასპორტზე“. მაიაკოვსკი იყო ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელმაც მხატვრულ ლიტერატურაში მთელი სისრულითა და მრავალმხრივობით გამოკვეთა ოქტომბრის ბელადის ვ. ი. ლენინის ფიგურა, ადამიანთა მილიონებს განუმტკიცა რწმენა დიადი ოქტომბრისა და ლენინის საქმის უკვდავებისა, რომ ლენინის მოძღვრება მარად იქნება ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უძლეველი დროშა.

ლენინ,
სად ფაბრიკებს
მოსავთ განთიადი,
თოვლიან მთებიდან
ნამჯიან ბარამდის,
თქვენი სახელის და
გულის სიდიადით
ჩვენ ვსუნთქავთ,
ვიცოცხლეთ,
ვიბრძოლეთ მარადის.

მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი საბჭოთა მწერლის უპირველესი მორალურ-პოლიტიკური თვისება იყო და არის. მაიაკოვსკის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ამის ხაუკეთესო მაგალითია. პოეტს უდიდეს სიამაყეს გვრიდა, რომ იგი საბჭოეთის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქე იყო. ცნობილია, რომ პოეტი ბევრს მოგზაურობდა, მრავალგზის ყოფილა საზღვარგარეთ როგორც ახალი სოციალისტური ლიტერატურის „სრულუფლებიანი ელჩი“ და არსად, არასოდეს არ ივიწყებდა, რომ იგი იყო წარმომადგენელი საბჭოთა ქვეყნისა, რომელიც მშრომელთა ინტერესებისა და ხალხთა მშვიდობის ბურჯად იდგა და დგას მთელ მსოფლიოში.

დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სამშვიდობო ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საფრანგეთში, როცა მისი ნაყოფიერი შედეგების უდიდეს მნიშვნელობაზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის კეთილმოსურნეობით ლაპარაკობენ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით თანადროულობით ულერს მაიაკოვსკის კანონიერი სიამაყით ნათქვამი სიტყვები „მე ვარ მოქალაქე საბჭოთა კავშირის“, რომ საბჭოთა მოქალაქის პასპორტს „სხვა ძალა და სიყვარული აქვს“, რომ მას „ამშვენებს ჩაქუჩი და ნამგალი“ — მშვიდობიანი, ცხოვრების გარდამქმნელი შრომის სიმბოლო.

ორმოც წელზე მეტია ჩვენს შორის ფიზიკურად აღარ არის რევოლუციის დიდი პოეტი ტრიბუნი, მაგრამ მარადიული სიცოცხლით ცოცხლობს მისი შემოქმედება. მაიაკოვსკი საბჭოთა ხალხთან იყო ყოველთვის — გამარჯვებებისა თუ განსაცდელის ჟამს, მასთან ერთად აშენებდა ახალ ქვეყანას. იგი ჩვენთან არის დღესაც და კვლავ ენდებურად მგზნებარედ მოგვიწოდებს, რომ „ებრძოლოთ შრომის ბარიკადებზე“, რომ „ჩვენი დღე დიად შეტევის დღეა, ბრძოლებით გაჰყევ გმირულ ნაბიჯებს“, თავისი ენერგიული, მტკიცე ხმით რწმენას გვმატებს, რომ „ოთხ წელიწადში ბებმას ხუთწლიანს ავწევთ, გავიტანთ და შევასრულებთ“. ამიტომ არის პოეტი-ტრიბუნი მარად ცოცხალი, მარად ჩვენი თანამედროვე, საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ცოცხალი მონაწილე.

ვლადიმერ მაიაკოვსკი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით შუდამ საბჭოთა ხალხთან, მუდამ პარტიასთან ერთად იყო, პირად დიდებაზე და უკვდავებაზე არასოდეს უოცნებია. „პრაფრად ვაგდებ ჩამწარებულ ძეგლებს რიგებად, არც ბრინჯაო და მარმარილო მეჯაზნიკებმ. შევთანხმდეთ, — ერთი მიწისა ვართ, ერთი ალიზის, — ჩვენი საერთო და უკვდავი ძეგლი იქნება აშენებული სოციალიზმი“ — ამაყად ამბობდა პოეტი. სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, დიახაც რომ უკვდავი ძეგლია ყველას სადიდებლად, ვინც მაიაკოვსკის მსგავსად მის „მშენებლობაზე მიიტანა ყველა აგური“.

ამიტომაც მთელი ხმით გაისმის დღეს საბჭოთა ეპოქის ხაუკეთესო, უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სადიდებელი სიტყვა, რომელიც მთელი თავისი მგზნებარე პოეტური ხმით, როგორც ჩვენი ცოცხალი თანამედროვე, ჩვენთან ერთად ებრძვის და შრომობს ახალი კომუნისტური საზოგადოების დასამკვიდრებლად.

ხუთწლედი — ვადამდე!

დავალება — ვადამდე

სოხუმი. (სკკ. კორ.). ქალაქ სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ნახევარი წლის დავალებანი და ნაკისრი ვალდებულებანი ვადამდე — 16 ივნისისათვის შეასრულეს. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 4,6 მილიონი მანეთის პროდუქცია ნაცვლად წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 1,6 მილიონი მანეთისა.

შეჯიბრების ავანგარდში არიან ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“, ზეზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკის, თევზკომბინატის და სხვა კოლექტივები.

120.000 ტონა მარცვლეულისკენ

სწრაფად, უდანაკარგოდ!

არც ერთი თავთავი ნაწვერალზე,
არც ერთი მარცვალი ნამჯაში!

უკრაინელ კომბაინერთა მაგალითით

უკრაინელ. შილდის კოლმეურნეობის კომბაინერმა ბულდან მირიანაშვილმა, რომელიც კომბაინერ შოთა ომაძეს ეჯიბრება, პურეულის მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე და გალეწა 337 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას გადაეცა.

ახმეტა. ოყეოს საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა შაქრო პაპუნაშვილმა, რომელიც ამავე მეურნეობის კომბაინერ სპირიდონ ნახუცრაშვილს ეჯიბრება, პურეული მომკა 11 ჰექტარზე და გალეწა 334 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას მეორეჯერ გადაეცა.

სიღნაღი. კურდღლეთურის კოლმეურნეობის კომბაინერმა ინდიკო მეზვრიშვილმა, რომელიც ფშაველის კოლმეურნეობის კომბაინერს სოსო მოხიძეს ეჯიბრება, პურეული მომკა 14 ჰექტარზე და გალეწა 337 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას გადაეცა.

ძმურ, გულითად ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 12 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გაუმართეს ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი.

დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, სხვა ვიეტნამელი ამხანაგები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომეკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. ტუალეტოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საზარმოთა მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მხედართმთავრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის ხელმძღვანელები.

დარბაზობა კრემლში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომეკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. ტუალეტოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საზარმოთა მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მხედართმთავრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის ხელმძღვანელები.

დარბაზობის დაწყების წინ შესრულდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

* * *

დარბაზობის დროს ლე ზუანსა და ფამ ვან დონგს წარუდგინეს სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. (საკრესი).

რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

12 ივლისს თბილისში გაიმართა რესპუბლიკაში განლაგებული სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშაკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, მშენებლობისა და ვაჭრობის სამინისტროების, „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს, სახსტანდარტის, მთავარმომარაგება-გასაღების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტები.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ა. კ. ანტონოვი, ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ზ. ა. პატარიძე, პ. გ. გილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის მოადგილე გ. ნ. ბოჩკაროვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი და სხვები.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

მოხსენება რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის მდგომარეობისა და მუშობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ გენერალური დირექტორი კ. ი. გვარიშვილი, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ჩამომსხმელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. დ. ოხტანინა, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ი. გ. უნგიაძე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი ა. ი. ბუაძე, საბჭოთა კავშირის მცირე სამძღვაურის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორი გ. ვ. მინდელი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მთავარი ინჟინერი გ. მ. მელქოეკი, თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტის“ დირექტორი ა. ზ. ბლუნჩაძე, თბილისის ქარხანა „ელექტროძრავას“ დირექტორი ტ. ი. კახიანი, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ დირექტორი დ. თ. ბუხიანიძე.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ერთხმაო მიღებულ რეზოლუციაში დასახულია სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ მას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

(საქინფორმი).

ვსნაპლოგ და ვთარგმნი

თქვენს ქვეყანაში მეორედ ვარ. თუმცა პირველად არაოფიციალურად, ერთი ოჯახის სტუმარი გახლდით. საქართველოში სამხედრო გზით ვიმოგზაურე და კოკასიონის მთების მომხიბვლელობასაც მაშინ ვეზიარე და აღარ მიკვირს, რომ მრავალი ლამაზი ლეგენდა და მითი სწორედ აქ ეშვა.

მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მაინც პოეტის შემოქმედებიდან შემექმნა. მე ხომ მაიაკოვსკის შემოქმედების მკვლევარი ვარ და თარგმნილი მაქვს მრავალი ლექსი, პოემა და პიესები. ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომიც მონოგრაფია იყო პოეტის შემოქმედებაზე.

სამწუხაროდ, ადრე არ მქონდა საშუალება მენახა პოეტის ბავშვობასთან დაკავშირებული ადგილები, და აი ახლა, როდესაც მოგზაურეს საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, არც კი დავფიქრებულვარ, ისე გამოვეგზავრე...

უზომოდ მიხარია „მაიაკოვსკისთან შეხვედრა“ თქვენს დალოცვილ მიწაზე.

ვასილ კოლევსკი,
ბულგარელი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე.

აქ. თქვენთან ერთად

რაც მეკითხებიან, თუ როგორ ვგრძნობ თავს საქართველოში, ამავე კითხვით მივმართავ ხოლმე, რადგან აქ იმდენჯერ ვარ ნამყოფი, რომ თავს არც სტუმრად ვთვლი და, რაღა თქმა უნდა, არც უცხოდ. ამ განწყობილებას კიდევ უფრო მიღრმავებენ მეგობარი კოლეგები, რომლებიც აქ მრავლად მეგულებიან.

ბაღდადში, მაიაკოვსკის სამშობლოში მესამედ ვიქნები, მაგრამ ეს სტუმრობა განსაკუთრებული იქნება, რადგან პოეტის 80 წლისთავს ემთხვევა. მჯერა, რომ ეს შესანიშნავი თარიღი ამ მადლიან, პოეტურ მიწაზე ისეთი მგზნებარებით აღინიშნება, როგორც ეს თვით მაიაკოვსკის ეცხლოვან ბუნებას შეჰფერის. ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად სალამს ვუძღვნი ჩემს ქართველ თანამოკალმეებს.

კონსტანტინე სიმონოვი.

თითქოს მისი ხმა გვესმის

რევოლუციის ქარიეცხლში გამოვლილი სტრიქონების ავტორის სამშობლოში ახლა თითქოს უფრო თვალნათლივ გვესმის პოეტ ტრიბუნის ოპანიანი ხმა. ამ განსხლებას, რომელსაც მაიაკოვსკიმ უძღერა, დღეს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით: ალსრულდა დიდი პოეტის სიტყვები, ახლა მისი წინასწარმეტყველება, ბევრი რამ, რაზეც ის ოცნებობდა, დღეს აშენდა და ზოგჯერ წარსულსაც კი წარმოადგენს.

ჩვენ აქ ჩამოვედით, რათა კიდევ ერთხელ ვუთხრათ ჩვენს დიდ წინამორბედს, რომ მისი დროშა კვლავაც წინ მიგვიძღვის, კალამი დღესაც, როგორც მან გვიანდერძა, ხიშტს გავუტოლეთ. ჩვენ ჩამოვედით, რათა თაყვანი ვცეთ იმ მიწას, სადაც მისი აკვანი დაირწა.

როგერტ როჟდესტვენსკი.

თბილისი ეგებება სტუმრებს

დღეს საქართველოში იწყება დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი რევოლუციური პოეზიის დღეები. თბილისში, მეგობრობის პროსპექტზე მოხდება პოეტის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა, ხოლო საღამოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება **დიდი საიუბილეო — საზეიმო სალამო.**

გუშინ ვლადიმერ მაიაკოვსკის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს დედაქალაქში მოსკოვიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოვიდნენ საბჭოთა მწერლები და პოეტები, აგრეთვე — სტუმრები საზღვარგარეთიდან.

სურათზე: შეხვედრა მაიაკოვსკის საიუბილეო ზეიმის მონაწილე საბჭოთა და საზღვარგარეთელ მწერლებთან თბილისის აეროპორტში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისთვის

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ფართოდ აღინიშნოს რსდმპ II ყრილობის სამოცდაათი წლისთავი, როგორც ლენინური პარტიის ისტორიის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

რსდმპ II ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად წელს საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავს.

ამ ყრილობას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვისაც. ყრილობაზე წარმოიშვა ბოლშევიზმი როგორც კოლექტიური მიმდინარეობა და კოლექტიური პარტია. 70 წელი რსდმ პარტიის II ყრილობის შემდეგ — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შეუპოვარი ბრძოლისა და დიად გამარჯვებათა გზა.

„მას შემდეგ ჩვენი პარტიის მიერ განვლილ გზას, — აღნიშნულია დადგენილებაში რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ, — ბადალი არა აქვს ისტორიაში. შედარებით პატარა იატაკქვეშა ორგანიზაცია გადაიქცა კომუნისტთა მძლავრ შეკავშირებულ, თითქმის ოხუთმეტმილიონიან არმიად — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ პარტიად“.

ახალი ტიპის პარტია, მარქსისტული რევოლუციური პარტია იქმნებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გარდატეხის მომენტში. რსდმ პარტიის II ყრილობა მზადდებოდა პრეიოდში, როცა რუსეთში დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქა. რუსეთი არ ყოფილა კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი. სამხედრო-ფეოდალური, სოციალური, კოლონიური და ყოველგვარი სხვა ჩაგვრის კერა. 1900-1903 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა რუსეთიც მოიცვა. ყველა მისი შედეგი მძიმე ტვირთად დაწვა მშრომელებს.

ქვეყანა ემზადებოდა რევოლუციისათვის. 1900 წლის საპირველმაისო დემონსტრაციით რუსეთში იწყება შემობრუნება გაფიცვებიდან დემონსტრაციისაკენ. განსაკუთრებით მსობრივი პოლიტიკური დემონსტრაციები გაიმართა მომდევნო წლებში პეტერბურგში, მოსკოვში, თბილისში, ბაკოში, ბათუმში, ხარკოვსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. მუშების შემდეგ ბრძოლა დაიწყეს გლეხებმა და სტუდენტებმა.

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. მძლავრი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მოიცვა რუსეთის იმპერიის მთელი ტერიტორია, მიზნად ისახავდა მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტას მის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლში. რუსეთის მეჩინი პროლეტარიატი, რომელსაც რსდმ პარტიის II ყრილობაზე შექმნილი ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, გახდა რუსეთში ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლის მედროშე.

მარქსისტული მოძრაობა რუსეთში გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო; 1883 წელს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა, რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი მეთაურობდა, მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია, გადადგა პირველი ნაბიჯები მუშათა მოძრაობასთან დაახლოების გზაზე. რუსეთში მარქსისტული რევოლუციური პარტიის ჩანასახი იყო 1895 წელს ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. მისი საქმიანობა იყო მუშათა მოძრაობასთან მარქსისტული თეორიის შეერთების პირველი ცდა. ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ვ. ი. ლენინი ეყრდნობოდა „ბრძოლის კავშირის“ გამოცდილებას.

მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ წამოაყენა. მძლავრი რევოლუციური მოძრაობის განვითარება დაბეჯითებით მოითხოვდა ისეთი რევოლუციური პარტიის ორგანიზაციას, რომელიც შეძლებდა სათავეში ჩადგომოდა და წარემართა პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის მძლავრი ალმავლობა.

მიუხედავად ამისა, რომ 1898 წელს მინსკში შეიკრიბა რსდმპ I ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა რსდმ პარტიის შექმნა, ფაქტიურად პარტია არ შექმნილა. არ იყო პროგრამა და წესდება, უამისოდ კი პოლიტიკურ პარტიას არსებობა არ შეუძლია. რსდმ პარტიის II ყრილობამდე არსებობდნენ მხოლოდ ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც მოკლებული იყვნენ ერთიან ხელმძღვანელობას და მზანდასახულობას. ბოლო უნდა მოეღო განხეთქილებისათვის, დაეძლიათ განცალკევებულობა, შეექმნათ რევოლუციური, ცენტრალიზებული პარტია ღრმად მოფიქრებული მარქსისტული პროგრამითა და წესდებით. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო მტკიცე და პრინციპული ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ მეორე ყრილობის მოწვევამდე მოითხოვდა საბოლოოდ გამიჯვნას ეკონომიზმთან.

განსაზღვრავდა რა რუს სოციალ-დემოკრატთა ამოცანებსა და მიზნებს, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ მარქსისტული პარტიის შექმნა უნდა დაწყებულიყო საერთო რუსული პოლიტიკური პაროლის შექმნით, რომელიც აგიტაციასა და პროპაგანდას გაუწევდა სოციალ-დემოკრატთა რევოლუციურ შეხედულებებს და ამავე დროს გაშლიდა იდეურ ბრძოლას ეკონომიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ.

სწორედ ასეთი გაზეთი შექმნა ვ. ი. ლენინმა 1900 წლის დამლევს. მას ეწოდებოდა „ისკრა“. გაზეთმა „ისკრამ“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკონომისტთა იდეურ განადგურებაში, დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გაერთიანებაში, რსდმ პარტიის II ყრილობის მოწვევისა და პროგრამის პროექტის შემუშავებისათვის პირობების მომზადებაში.

ახალი ტიპის პარტიის შექმნის ლენინურ გეგმას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიაში. მალე გაზეთ „ისკრის“ გამოსვლის შემდეგ ამიერკავკასიელმა ლენინელებმა გამოსცეს არალეგალური პოლიტიკური გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც მთლიანად იდგა ლენინისა და ლენინური „ისკრის“ პოზიციებზე. უკვე 1901 წლის ნოემბერში შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების არჩევითი თბილისის კომიტეტი, 1901 წლის დამლევს — ბათუმის კომიტეტი, ხოლო 1902 წელს — ბაკოს კომიტეტი, რომლებიც აგრეთვე მტკიცედ იდგნენ ლენინური „ისკრის“ ორგანიზაციულ და იდეურ პრინციპებზე. 1903 წლის მარტში შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების კავკასიის კავშირის კომიტეტი. ამ ორგანიზაციათა შექმნაში დიდ როლს ასრულებდნენ ლ. კეცხოველი, ს. სპანდარიანი, ი. სტალინი, ს. შაუმიანი, მ. ცხკაია და სხვები. რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნა იყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ცენტრალიზებულ პარტიად ცალკეულ ორგანიზაციათა გაერთიანების საერთო ჯაჭვში.

3. ი. ლენინის ხელმძღვანელობით „ისკრისა“ და ისკრელების მიერ განხორციელებული სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1903 წლის ივლისის დამლევს შეიკრიბა რსდმ პარტიის II ყრილობა. ყრილობის შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო, მასზე წარმოდგენილი იყო ოთხი დაჯგუფება, რამაც განსაზღვრა კიდეც გააფთრებული ბრძოლა, რომელიც აქ მიმდინარეობდა. ყრილობას უნდა შეექმნა ახალი ტიპის პარტია, რევოლუციური პარტია იმ ორგანიზაციულ და იდეურ პრინციპებზე, რომელიც „ისკრამ“ შეიმუშავა.

რსდმპ II ყრილობის უმნიშვნელოვანესი საქმე ის იყო, რომ მან მიიღო პარტიის პროგრამა, რომელშიც მეცნიერულად იქნა ჩამოყალიბებულია კომუნისტური მოძრაობის ამოცანები და მიზნები. პროგრამაში ხაზგასმული იყო, რომ პარტიის საბოლოო მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამასთანავე განისაზღვრა პარტიის უახლესი მიზნები და ამოცანები.

ყოველივე ეს მიღწეული იყო ანტიისკრელთა, ანტილენინელთა წინააღმდეგ ლენინელთა შეუპოვარ ბრძოლაში.

ანტიისკრელებმა განსაკუთრებით გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ პროგრამაში დაეტოვებინათ მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი დებულება — მოთხოვნა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ პუნქტის პროგრამაში დატოვება ლენინის მოძხრეთა ისტორიული გამარჯვება იყო.

დიდი დავა დაიწყო აგრეთვე აგრარული და ეროვნული საკითხების გამო. ამ საკითხებში გაიმარჯვეს ლენინელებმა. ყრილობამ მიიღო წესდება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. **ამრიგად II ყრილობაზე წარმატებით დამთავრდა ვ. ი. ლენინისა და ლენინელთა გიგანტური ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შექმნისათვის, მან განაგრძიცა ბოლშევიზმის გამაერჯვება ოპორტუნიზმზე. „პროლეტარიატმა კიბეელად მიიღო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ახალ ისტორიულ პიროგიგში მისი სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებით ხელმძღვანელობა“.**

ამასთანავე ყრილობამ ცხადყო აგრეთვე, რომ თუმცა ეკონომისტები განადგურებული იყვნენ, მაგრამ მათი ადგილი პარტიაში მენშევიკებმა დაიკავეს. ბოლშევიკთა პარტია განმტკიცდა და გამოწრთო ბრძოლაში მენშევიკების, ტროცკისტებისა და ლენინიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ.

ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, დაძლეული იყო გიგანტური სიძნელენი სოციალისტური საზოგადოების შენებლობაში. ისტორიულად მოკლე დროში საბჭოთა კავშირის ხალხებმა კომუნისტთა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაძლიეს ქვეყნის საუკუნოვანი ჩამორჩენა, განაზორიელეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, მოსპეს ექსპლოატატორთა კლასები, აეშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. საბჭოთა ქვეყნის წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში დაკანონებული იყო საბჭოთა VIII საგანგებო ყრილობის მიერ მიღებული კონსტიტუციით.

საბჭოთა ქვეყნის ძალა და ძლიერება, სოციალისტური ყოფილების სიცოცხლისუნარიანობა, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის წლებში.

გმირმა საბჭოთა ხალხმა არათუ გაანადგურა აგრესორი, თავისი ქვეყნიდან განდევნა გერმანელ ფაშისტთა ოკუპანტები, არამედ შეარყია თავისი ინტერნაციონალური მოვალეობაც, დაეხმარა ევროპისა და აზიის დამონებულ ხალხებს განთავისუფლებულიყვნენ ფაშისტური უღლისა და იმპერიალისტური ჩაგვრისაგან.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხმა, როცა მოიშუშა ვერაგი მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები, უმაგალითო წარმატებებს მიაღწია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენებლობაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია გახდა.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ობიექტური კანონზომიერებაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა. ეს კანონზომიერება კიდევ უფრო მეტი ძალით ვლინდება კომუნიზმის მშენებლობის ეტაპზე.

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ დასახა დიდი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე. კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია, რომლებიც არ იშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, წარმატებით ახორციელებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

მ. ცერცვაძე,

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. (საქინფორმი).

მეიქცევა რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავს

□ **გაიმართა** რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ და საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოებამ. სესიაზე განხილა მოხსენებანი „ვ. ი. ლენინი — ახალი ტიპის პარტიის შემქმნელი“, „ბრძოლა ამიერკავკასიაში პარტიის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის“, „რსდმპ II ყრილობის მსოფლიოისტორიული მნიშვნელობა“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ინტერნაციონალისტ-ლენინელთა პარტია“ და სხვ.

□ **საქართველოს** მშრომელებთან ერთად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის მეომრები ფართოდ აღნიშნავენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის 70 წლისთავს. დედაქალაქის გარნიზონის ნაწილებსა და ქვანაყოფებში იმართება ლექციები და მოხსენებები, თემატიკური საღამოები, ეწყობა წიგნის გამოფენები, მიძღვნილი გმირული გზისადმი, რომელიც ლენინურმა პარტიამ განვლო მეორე ყრილობის შემდეგ გასული სამოცდაათი წლის განმავლობაში.

ამ დღეებში მიმდინარეობს ოლქის მეომართა შეჯიდრები რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებთან, ძველ ბოლშევიკებთან, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეებთან. ბევრმა მეომარმა დაათვალიერა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი, გაეცნო ექსპონატებს, რომლებიც იძლევიან ჩვენი პარტიის მეორე და შემდგომ ყრილობებს. (საქინფორმი).

ოფიციალური განყოფილება

დელეგაციის დაბრუნება

12 ივლისს სირიის არაბთა რესპუბლიკაში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. თ. მორდვინოვი, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვი. დელეგაციას ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები ი. პ. პოველოვი, ვ. პ. რუშეინცევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. დ. სიტენკო.

სირიაში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონაწილეობდა ეფრატის იმ ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობაზე მდინარე ეფრატის გადახდვის გამო გამართულ ზეიმში, რომელიც სსრ კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით იგება.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში ყოფნის დამთავრების შემდეგ ა. პ. კირილენკო და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ ლიბანის რესპუბლიკას.

ვნუკოვოს აეროდრომზე პარტიისა და მთავრობის დელეგაციას დახვდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. დ. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები. (საკდისი).

ძმური შეხვედრა

11 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა მიიღო მოსკოვში მყოფი ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ჩიონგ თხი მი. ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაციამ ჯულიოგი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, სსრ კავშირის მშრომელებსა და პროფკავშირებს დიდი და ეფექტიანი დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ვიეტნამელ ხალხს.

საუბრის დროს, რომელმაც ძმური, ჯულიოგად ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია პროფესიული კავშირების საქმიანობის შესახებ, დაადასტურეს, რომ მზად არიან კვლავაც ყოველი ღონისძიებით გააფართოონ ნაყოფიერი თანამშრომლობა და ურთიერთობა სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებსა და პროფკავშირებს შორის.

(საკდისი).

ამერიკის ფირმის წარმომადგენლები თბილისში

12 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვეული საბჭოთა კავშირში მყოფი ამერიკის ფირმის „ჯოკა-კოლას“ წარმომადგენლთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფირმის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ოსტინი. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დოლიძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. უნგიაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

იმავე დღეს ამერიკის ფირმის წარმომადგენლები შეხვდნენ რესპუბლიკის კვების მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკებს. (საქინფორმი).

ღაჟოზილებული ქალაქების მეგობრობა

ამერიკის შეერთებული შტატების დამმობილებული ქალაქების ასოციაციის ხელმძღვანელები ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს თ. ჯანელიძეს.

საუბრის დროს თ. ჯანელიძემ სტუმრებს გააცნო საქართველოს დედაქალაქის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება.

ამერიკის შეერთებული შტატების დამმობილებული ქალაქების ასოციაციის პრეზიდენტმა ლუი ვოხარმა, ასოციაციის დირექტორების საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ბრიტენმა, ქალაქ სანტა-ფე სპრინგის მერმა ბეტი ვილსონმა, ასოციაციის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ტომას გიტნისმა აღნიშნეს, რომ მათი ვიზიტი საბჭოთა კავშირში დამთხვა კარგ დროს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ, აღნიშნეს მათ, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას ახალი ხასიათი მიეცა.

ჩვენ, განაცხადა ლ. ვოხარმა, გიწვდით მეგობრობის ხელს და თბილისელებს ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს. მან თ. ჯანელიძეს გადასცა დამმობილებული ქალაქების ასოციაციის წევრის სპპატიო დიპლომი.

დელეგაციის პატივსაცემად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელით გაიმართა ვახშამი.

12 ივლისს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საქინფორმი).

სსრკ — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა:

მტკიცდება ძმური სოლიდარობა

მოსკოვის მშრომელთა მიტინგი ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხანაში

ძმურად, როგორც უძვირფასეს სტუმრებს, შეხვდა 12 ივლისს სახელგანთქმული მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის კოლექტივი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობენ ამხანაგები ლე ზუანი და ფამ ვან დონგი. ვიეტნამელი მეგობრები იყვნენ საამქროებში, ესაუბრნენ საწარმოს მუშებსა და ხელმძღვანელებს.

აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის მშრომელთა შეხვედრას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან. მიტინგზე მოვიდნენ დედაქალაქის ბევრი საწარმოს, მშენებლობის მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლე ზუანს, ფამ ვან დონგს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს. ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ტიაჟელნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფიროუბინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ტ. პიმენოვი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვი, სხვა ოფიციალური პირები.

მიტინგზე იყო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დანგ კუანგ მინი.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს სამმართველოს დავალებით მიტინგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა.

სიტყვა ეძლევა ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მჭედელ-მტვიფრავეთა ბრიგადირს კ. ნ. მალინს, რომელიც მოსკოვის მუშათა კლასისა და ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის სახელით გულთბილად მიესალმა ძვირფას სტუმრებს. ვიეტნამელმა მშრომელებმა, აღნიშნა მან მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ უძლეველია ხალხი, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა. ძმიმე ომის დანაკარგებში ჩვენი ლენინური პარტია, საბჭოთა ქვეყნის მთავრობა და მშრომელები ვიეტნამელ ხალხთან ერთად იყვნენ და უწევდნენ დახმარებას.

ვიეტნამისადმი სოლიდარობა და ყოველმხრივი მხარდაჭერა ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიზანმიმართულ, ნაყოფიერ საქმიანობას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად ღვაწლს მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფაში საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება მოჰყვა.

მიმართა რა ამხანაგებს ლე ზუანს, ფამ ვან დონგს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, კ. ნ. მალინმა სთხოვა ვიეტნამელ ხალხს გადასცენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა კავშირის მშრომელები იყვნენ, არიან და იქნებიან ერთგული, გულწრფელი და საიმედო მეგობრები.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების სახელით დელეგაციას მიესალმა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მეორეული გ. ს. ტიტოვი. მან აღნიშნა, რომ შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის განყოფილი ნაწილი გახდა თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის ყოველდღიური გამოვლინება, მისთვის ყოველნაირი დახმარებისა და მხარდაჭერის გაწევა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ, რომ ჩვენი ლენინური პარტია, ჩვენი დიდი სამშობლო მთელი ამ წლების განმავლობაში პირნათლად ასრულებდნენ და ასრულებენ თავიანთ წმიდათაწმიდა ინტერნაციონალურ მოვალეობას ძმმე ვიეტნამელი ხალხის წინაშე.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ერთგულად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ კურსს, თქვა დასასრულ გ. ს. ტიტოვმა, აცხადებენ, რომ მომავ ვიეტნამელ ხალხს კვლავაც შეუძლია იმედი იქონიოს, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის საქმეს, მთელ ინდოჩინეთში მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლას.

ვმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს მხურვალედ მიესალმა მიტინგზე გამოსული მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ი. კარზანოვი. საბჭოთა ახალგაზრდობის მტკიცე ხმა მებრძოლი ვიეტნამის მხარდასაჭერად, თქვა მან, არაერთხელ გაისმა ხალხმრავალ მიტინგებსა და მანიფესტაციებზე, პლენტის დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე. და დღეს, მშვიდობიანი შრომის დღეებში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები და მთლიანად და სავსებით მოიწონეს პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგები ამ ვიზიტისა, რომელსაც დიდი პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს და უდიდესი მოვლენაა. ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ერთსულოვნად იზიარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის ამ შეფასებას.

ყველა საბჭოთა ადამიანი, მათ შორის მოსკოველებიც, სავსებით მხარს უჭერენ და მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, ნაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. გრიშინმა. ისინი დიდ მადლობას უძღვნიან პარტიას იმისათვის, რომ დღენიადაგ ზრუნავს მშვიდობისათვის, უქმნის ჩვენს ხალხს მშვიდობიან შრომისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე და თანმიმდევრულ ხაზს სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მთელი ძალების შეკავშირებისათვის.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს პირად წვლილს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში, ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებაში. იგი დიდ კმაყოფილებას ამოთქვამს იმის გამო, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა და გუშინ გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. ჩვენ ვუსურვებთ ლენინდ ილიან-ძე ბრეჟნევს ახალ წარმატებებს მის მოღვაწეობაში მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ და კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის.

დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მოსკოველის სახელით ვ. ვ. გრიშინმა ამხანაგებს ლე ზუანსა და ფამ ვან დონგს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყველა წევრს და მათი სახით მთელ ვიეტნამელ ხალხს გადასცა მხურვალე გულითადი მისალმება და ერთხელ კიდევ მიფლიცა დიდი გმირობა, რომელიც ვიეტნამელმა ხალხმა მოიპოვა. მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა მან, კვლავაც განამტკიცებენ მეგობრობასა და შეკავშირებას ვიეტნამელ ძმებთან. დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც სოციალიზმის საშენებლ ჩადგომოდა ლენინური პარტია, საბჭოთა ქვეყნის მთავრობა და მშრომელები ვიეტნამელ ხალხთან ერთად იყვნენ და უწევდნენ დახმარებას.

ვიეტნამისადმი სოლიდარობა და ყოველმხრივი მხარდაჭერა ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიზანმიმართულ, ნაყოფიერ საქმიანობას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად ღვაწლს მტკიცე მშვ

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავი

გეს აუბრებით ისე როგორც ცოცხლებს ცოცხალი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

რევოლუციისა და საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავის მოზადების დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს მიმართა თხოვნით გამოეთქვათ თავიანთი აზრი მაიაკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობაზე საერთოდ და, კერძოდ საბჭოთა პოეზიისათვის, ესაუბრათ პოეტზე, როგორც ჩვენს თანამედროვე ცოცხალ შემოქმედზე, მის დამოკიდებულებაზე საქართველოს კულტურასთან და, საერთოდ, ქართულ სინამდვილესთან. ქვემოთ ბეჭდავთ წერილებს, რომლებიც ამ თხოვნის შესაბამისად მიიღო ჩვენმა რედაქციამ.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ეპოქის ღვიძლი შვილი

ეპოქის ღვიძლი შვილი

ეპოქის ღვიძლი შვილი

ეპოქის ღვიძლი შვილი

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ვლადიკავკაზი—თბილისი

როგორც კი
დავადგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე —
ქართველი ვარ.
მუინვარი,
ყაზბეგი,
და კიდევ — რა მქვიათ?!
მთა — მთაზე;
მე მათი
სახელი მერგება.
აქ
მოხეტიალე
გადვიცვამ ახალუხს.
აქ უკვე
ხალათი
ტანზე არ მერგება,
ისეთი ცხენი მყავს
მე ყარაბაღული,
როიალსაც
მოუნდეს მგონია შექება.
მე მახსოვს:
აქ ურდოს
მოვყეავი დამწვარი;
ამბავი ძველია ძალიან;
ორიათას წლის წინათ
ქვეყნებში წაწყალით
მოვადექ
აგერ ამ დარიალს.
მე, ერთ მოლეკურეს
და სულით მეთარეს,
ასწლები
ცხელ ოფლში მწურავდნენ,
მე განვვლე ეს მიწა
და მუშად ვიარე
აქედან
ბათუმის ყურემდე.
ამ საქმის
არ ისმის დღეს სახსენებელიც.
ძველი ისტორია
დიდი ცრუ რომ არი,
ბრაახუნებს,
რომ იყვნენ
აქ მხოლოდ მეფენი:
ირაკლი,
დავითი,
თამარი.
კედლების
მეცნობა
აქ ყველა მტკაველი,
ეს ციხეც
ის არის,
ეგრე ბგავს:
აქედან ვუმღერდი —
შოთა რუსთაველი,
დიდს სიყვარულს,
მეფე-ქალს.
შემდეგ
თერგს მივქონდი
მე ძვლების ჩხარუნით,
ტალღა რომ
თავზე ქაფს
ულეთებს.
ეს კიდევ რა არის!
მეფის სიყვარული
იცნობდა
გახართობს ულეთეს.

შემდეგ
მე ვიხილე —
ამ კლდეთა კარებით,
ამ ვიწრო ბილიკით
მზიანით,
ველებს
და მიწურებს —
რუსეთის ჯარები
ჩამოპყვნენ ჩინმენდლებიანნი.
ზარმაცად,
ნელ-ნელა
ვიდოდი მაღლა,
გოტარას
ხიმღერას
ვამღერდი ერთს,
„მხოლოდ შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის
მოუცია
მაღლიდან ღმერთს“.
და თავისუფლების
დილაც ხისხლიანი
დგება —
ეს ხსოვნაა წუთისა,
და აი
მე ვისვრი,
მე — გმირი არსენა,
ყუმბარას
იმ ცხრაასხუთისას.
დაჭროდნენ
პაუებად
ბატონის წულები;
მე კი,
იმ წლებში რომ
დამდაღეს,
ყოველდღე ვიგონებ
ტკივილით,
წყლულებით
იმ ალიხანოვის მათრახებს.
მერე აქ
გრძელდება
დრო ჩამობინდული
და ვხედავ
ერთ მუჭა მმართველებს,
ეს ვიგინდარები —
თვით მტკვარზე მღვრიენი.
ხელს ტლოშნით აქ ფრანგებს
ართმევენ.
ოცი,
და იქნება
მეტი საუკუნეც,
ვათრიე
მჩაგვრელთა ხუნდები,
დღეს კი აქ
დროშები
ფრენს ბოლშევიკური,
სხვა საქართველოში
ვბრუნდები.
დიახ,
ქართველი ვარ,
ახალი ნაციის,
არც დავიწყებულის მხარისა,
მე,
შემავალი ვარ
ერთ ფედერაციის
საბჭოთა
დიდ
მთა და ბარისა.

ბნელდება ხსოვნაში
ყრუ და შემზარავად
წარსულის
სისხლი
და ხანჯალი;
ჩვენ ვდუღვართ,
ჯერ ღვინოდ
დამდგარი არა ვართ,
ჯერ კიდევ
ვართ მხოლოდ
მაჭარი.
მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჩყვეს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები.
მე ველი, ამ მთებში
პაერო აფრინდეს,
საყვარელ ქალივით
იმედი მეგულვის,
რომ ვნახო მის კუდზე
წარწერა „თბილისი“
და ეკრას ბეჭედი
აქ დამზადებულის.
დიახ,
ქართველი ვარ,
და ვის ესურვება
მიწოდოს
მე კინტო,
მხმელი და აშარი.
მე ველი —
საყვირმა —
დასჭექოს
ზურნებად,
სად კინტო იდგა და
ვირების ლაშქარი.
პატივს ვცემ
მე ქართველ
პოეტებს მაღლიანს,
კარგია
ეს პანგიც,
ზურნა და დაირი,
მაგრამ დღეს
მწყურია
მე მათზე აღრიან
ქარხნების სიმღერა
და კრანთა შაირი.
აშენე,
იმ ძველის
დანგრევაც მოასწრე
და ახალ სართულებს
ჩაუდექ დარაკად.
ყაზბეგიც
რომ საქმეს
გიშლიდეს, —
მოაძრე,
რა უშავს —
ნისლში
მაინც ხომ არა ჩანს!

თარგმანი
ირაკლი აბაშიძისა.

საიუბილეო წიგნის თარო

გამოიცა თბილისში

ვლადიმერ მაიაკოვსკის საიუბილეოდ რამდენიმე საინტერესო წიგნი მიიღო ჩვენმა მკითხველმა. „საბჭოთა საქართველომ“ გაიოსება პატარა, სასარგებლო კრებული, რომელშიც დაბეჭდა პოეტის ცნობილი ლექსები, აგრეთვე რამდენიმე ლირიკული ნაწყვეტი პოემებიდან (მთარგმნელები ვ. გაფრინდაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ირ. აბაშიძე, ვ. ჯავახაძე, დ. გაჩეჩილაძე, მ. პატარიძე, ვ. ლაფერაშვილი, ხ. ბერულავა, თ. ჯანგულაშვილი).

წიგნის რედაქტორია ძ. თურქია, მხატვარი ლ. შენგელია.

„მერანმა“ რუსულ ენაზე გაამცა მოგონებებისა და პოეტისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების დიდი კრებული „ამსს ᲬᲘᲜᲐᲨᲘ, ᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲔᲪᲐᲐ“. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის გრიგოლ აბაშიძეს. პირველ განყოფილებაში დაბეჭდილია ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფია „მე თვითონ“. მეორე განყოფილებაში გამოქვეყნებული ბაალები მოგვითხრობენ პოეტის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე. მესამე განყოფილებას უწოდდა „მაიაკოვსკის შესახებ. მოგონებები. ძიებენი“. აქ ძირითადად გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების ძოგონებები და პოეტისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. განყოფილებაში „შთაბეჭდილებები, ფიქრები“ — დაბეჭდილია ამონაწერები პოეტის სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნებიდან.

წიგნის შემდგენელია გ. ბებუთოვი, სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. აბაშიძე, ბ. ეფენტი, ძ. ზლატკინი, კ. კალაძე, ნ. ჩანავა. მხატვარი ა. სარჩიმელიძე.

„პოემა-ორატორია“ — ასე ჰქვია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, მწერალ ᲒᲐᲡᲘᲚ ᲚᲐᲨᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ წიგნს, რომელიც გამოსცა „ნაკადულმა“.

წიგნში, რომელიც შეიცავს ხუთ განყოფილებას, დასაბუთლია დიდი საბჭოთა პოეტის ლიტერატურული პორტრეტი და მოკლედ გადმოცემულია მისი ცხოვრების გზა. ნარკვევი „შობლიერ საქართველოში“ მოგვითხრობს მაიაკოვსკის ბავშვობისა და ყრმობის წლებზე და შემდგომ მის ურთიერთობაზე საქართველოსთან. ახალგაზრდობისათვის ბრის განკუთვნილი ნარკვევები „მაიაკოვსკი და ახალგაზრდობა“ და „მაიაკოვსკი ბავშვებს“. წიგნი მთავრდება ავტორის მოგონებებით ცოცხალ მაიაკოვსკიზე. წიგნის რედაქტორია — ჯ. ლომაშვილი. მხატვარი ლ. შენგელია.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ბ. დოლიძისა და ნ. კეჭეხიძის მიერ შედგენილი ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ“ (რუსულ ენაზე), რომელიც მკითხველს აცნობს მაიაკოვსკიში (ყოფილ ბაღდათში) არსებულ პოეტის სახლ-მუზეუმის შექმნის ისტორიას და იქ მოწყობილ მდიდარ ლიტერატურულ ექსპოზიციას. გზამკვლევს დართული აქვს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი თარიღების ნუსხა (რედაქტორია რ. ახვერდიანი, მხატვარი ნ. ხინელი).

აქ დაიბადა პოეტი

გამოჩენილი პოეტისა და ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის საიუბილეო დღეებში, ბევრი ხალხი მოდის სახლ-მუზეუმში, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა მომავალმა პოეტმა.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან განახლებულ ექსპოზიციას, მემორიალურ ნივთებს. ექსკურსანტებს ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრების პირველ პერიოდსა და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისზე მოუთხრობს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის 80 წლის მევენახე, ლენინის ორდენოსანი კონსტანტინე ფულარიანი, რომელიც კარგად იცნობდა პოეტის ოჯახს.

სურათებზე: ამ სახლში დაიბადა ვ. მაიაკოვსკი; სოფლის პიონერები ინტერესით უსმენენ კონსტანტინე ფულარიანს,

ბ. მერსამიას ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).





მსოფლიო დღეს

პ. პ. კირილენკო ლიბანში

ბეირუთი, 12 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ). დღეს სოდამის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო ეწვია ლიბანის პრეზიერ-მინისტრს ტ. სოლჰს.

ა. პ. კირილენკოსა და ტ. სოლჰს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ვიზიტი დამთავრდა

ბეირუთი, 12 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, რომელიც ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იყო აქ ვიზიტით და მისი თანხმლები პირები — დღეს სამშობლოში გაფრინდნენ.

გაფიცვა აშდოდში

ლონდონი, 12 ივლისი. (საკადესი). დღეს ისრაელის აშდოდის ნავსადგურში დაიწყო საბჭოთა საქართველოდან ისრაელში ჩამოსული ებრაული წარმოშობის მოქალაქეთა გაფიცვა. გაფიცულები, რომლებმაც დაიკავეს ქალაქის მუნიციპალიტეტი, შრომის ბირჟა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობები, პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ნავსადგურის ადმინისტრაციამ თვითნებურად დაითხოვა მათი 70 ამხანაგი. ეს სამოცდაათი კაცი იმ საბაბით დაითხოვეს, რომ ნავსადგურში შენელდა „საქმიანი აქტივობა“. ათმა დათხოვნილმა შიმშილობა გამოაცხადა.

ისრაელის ხელისუფლებმა, რომლებიც შიშობენ, რომ არ გაფართოვდეს გაფიცვა აშდოდში, იქ გაგზავნეს პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები.

კ. ვალდჰაიმის გაანცხადება

ვინ-იორკი, 12 ივლისი (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ეგვიპტის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მოწვევა დაახასიათა როგორც „ისტორიული მოვლენა“. ეს თათბირი, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროპაში დაძაბულობის შენელების გზაზე.

თანამშრომლობა მტკიცდება

კაირო, 12 ივლისი. (საკადესი). დღეს აქ ეგვიპტის ინფორმაციის მინისტრმა მუჰამედ მურად ჰალებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. გ. ლაპინმა ხელი მოაწერეს ოქმს 1973-1974 წლებში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დარგში გაცვლის შესახებ.

სერიოზული პროვოკაცია

ბერლინი, 11 ივლისი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ დასავლეთ ბერლინის სენატს პროტესტი გაუგზავნა იმ პროვოკაციის გამო, რომელსაც დასავლეთ ბერლინის ტერიტორიიდან მიმართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის წინააღმდეგ. 7 ივლისს ღამით, ნათქვამია პროტესტში, უპასუხისმგებლო ელემენტთა პატარა ჯგუფმა სერიოზული პროვოკაცია მოაწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის სახელმწიფო საზღვრის წინააღმდეგ. მათ სცადეს დაენგრიათ სასაზღვრო ნაგებობანი, თანაც ემუქრებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეებს. ამ პროვოკაციის საშიში ხასიათის მიუხედავად, დასავლეთ ბერლინის პოლიციურ ორგანოებს დროზე არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად. მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეთა წინადადებულობას უნდა უმადლოდნენ, რომ პროვოკაციის არ მოჰყოლია სერიოზული შედეგები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲦᲘᲚᲘ ᲣᲧᲐᲠᲔᲓ

ᲣᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“-ᲡᲝᲤᲘᲘᲡ „ᲡᲚᲐᲕᲘᲐ“

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ. (საკადესი). ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ევროჩემპიონები ევროპის „ზარიას“ ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონთა თასის ახალ გათამაშებაში შეხვდებიან „აპოელის“ გუნდს (ნიკოზია, კვიპროსი). ასეთია წილისყრის შედეგი, რომელიც ციურიხში მოაწყო უეფამ (ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციების კავშირი), საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „ტორპედო“ თასის მფლობელთა ტურნირის პირველ ტურში ეთამაშება ესპანეთის კლუბს „ატლეტიკოს“ (ბილბაო). ორი სხვა საბჭოთა გუნდი—თბილისის „დინამო“ და კიევის „დინამო“, რომლებიც უეფას ტურნირში გამოდიან, ითამაშებენ შესაბამისად „სლავიის“ (სოფია, ბულგარეთი) და ნორვეგიის კლუბის „ფერედრიქსშტადის“ წინააღმდეგ.

პირველი შეხვედრები მოსკოველებს, ჭოროშილოვგრადელებსა და თბილისელებს ექნებათ შინ, ხოლო კიეველებს მეტოქის მოედანზე.

მატჩები გაიმართება 19 სექტემბერსა და 3 ოქტომბერს.

ᲙᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘ...

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების კიევი ერთი მეოთხედფინალური მატჩი დიდაქალაქის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲐᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო გათამაშებაში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების უკანასკნელი ტურის შედეგები: ტერასპოლის „ზვეზდა“-მახარაძის „მერცხალი“ — 5:0, ბრიანსკის „დინამო“-ბათუმის „დინამო“ — 0:1; კალუგის „ლოკომოტივი“-გორის „დილა“ — 2:0; ვლადიმირის „ტორპედო“-სოხუმის „დინამო“ — 3:0; ივორონეჟის „ტრუდი“-ლანჩხუთის „გურია“ — 0:0 (პენალტები — 5:6); ტამბოვის „რევტრუდი“-ფოთის „ჟოლხეთი“ — 2:1.

ᲛᲫᲚᲔᲝᲑᲜᲝᲑᲐ

ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ!

ᲓᲣᲐᲘᲢ ᲡᲢᲝᲣᲜᲖᲘ — 2 Მ. ᲓᲐ 30 ᲬᲗ.

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ, 12 ივლისი. (საკადესი). 19 წლის სპორტსმენმა ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესიდან დუაიტ სტოუნზმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 2 მეტრი და 30 სანტიმეტრი. სტადიონზე, სადაც დაახლოებით ერთი წლის წინათ მან მოიპოვა 1972 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს მედალი, სტოუნზმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩის მსვლელობაში შეძლო ამ სარეკორდო სიმაღლის გადალახვა მესამე ცდით. უწინდელი მსოფლიო მიღწევა ეკუთვნოდა მის თანამემამულეს პატრიკ მატცდორფს — 2.29. მან იგი აჩვენა 1971 წლის ოქტომბერში.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 13 ივლისს, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა და ელჭექი, რაიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-14, დროგამოშვებით 15-19 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-29, მთაში 18-22 გრადუსი სითბო.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში იქნება ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 23-27, მთაში — 16-20 გრადუსი სითბო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი, ტემპერატურა 25-27 გრადუსი სითბო.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

„ᲑᲝᲘᲜᲒ-707“ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ბრაზილიის ავიაკომპანია „ვარიგის“ „ბოინგ-707“ სამგზავრო თვითმფრინავი დაიმსხვრა ორლის აეროპორტის რაიონში.

თვითმფრინავი, რომელშიც იყო 118 მგზავრი და ეკიპაჟის 16 წევრი, მოდიოდა რიო-დე-ჟანეიროდან პარიზში. კატასტროფამდე 15 წუთით ადრე (კატასტროფა მოხდა დაბა ლომეუშოს ახლოს) ხომალდის მეთაურმა ორლის აეროპორტის საკონტროლო-სადისპეტჩერო პუნქტს აცნობა ძრავების მუშაობაში უწესივრობის შესახებ.

წინასწარი მონაცემებით, 100-ზე მეტი კაცი დაიღუპა.

როგორც ორლის აეროპორტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დღევანდელი კატასტროფა უდიდესია ამ აეროპორტის რაიონში 1962 წლის ივნისის შემდეგ, როცა დაიმსხვრა „ბოინგ-707“ თვითმფრინავი და დაიღუპა 130 კაცი.

ᲨᲔᲛᲝᲬᲚᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ

□ **ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ**, 70 მილზე სტავანგერიდან (ნორვეგია) კატასტროფა განიცადა ნორვეგიის ვერტმფრინავმა. ვერტმფრინავში მყოფი ჩვიდმეტი კაციდან ოთხი დაიღუპა. დანარჩენს მიუსწრეს და გადაარჩინეს გემებმა და ვერტმფრინავებმა.

□ **ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲗ** დამთავრდა დანიის „სვატცეტრის“ კომპანიის მიერ შვეიციდან გრენლანდიაში დიდი მცურავი დოკის ბუქსირების ოპერაცია. 110 მეტრის სიგრძის დოკი, რომელიც გათვალისწინებული იყო გრენლანდიის ახალი გემთსაშენისათვის, ორ ნაწილად გაიპო შტორმის დროს სკაგერაკის ყურეში, ნორვეგიის ნაპირებიდან 25 მილზე, მცურავი გოგანტის ერთ-ერთი ნაწილი მაშინვე ჩაიძირა.

ᲡᲞᲘᲚᲝᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲗᲘᲛᲗᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ გაცოფებული აფრიკული სპილოების მრავალრიცხოვანი ჯოგები თავს ესხმიან სოფლებს. თავიანთ გზაზე ისინი ანადგურებენ ყოველგვარ მცენარეულობას. ჩადის რესპუბლიკაში აუტანელი სიცხითა და შიმშილით შეწუხებული სპილოების შემოსევისაგან ასეულ ათასობით ჰექტარზე მთლიანად განადგურებულია მოსავალი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ.

ᲩᲐᲠᲗᲔ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲩᲐᲠᲗᲔ ᲭᲝᲕᲘᲡᲭᲘᲜᲘᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მხატვრული ფილმი „ეემაკისეული დუეინი“, 12.05 — დოკუმენტური ფილმი, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: მათემატიკაში, 17.15 — ფიზიკაში, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან — შესვენების დროს „მოამბე“, 21.00 — „ჩვენი კომენტარები“, 21.10 — კინოხარკვეკი, 21.25 — „უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ღირსეულნი“, 22.00 — „ვრემია“,—საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. საბჭოთა კავშირის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — სატელევიზო სპექტაკლი „წარღვნა“ (I ნაწილი), 21.00—განცხადებები, 21.05—სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეცნობი, რომელსაც ყველა იცნობდა“ (II სერია).

ᲠᲐᲓᲘᲝ

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

08.00—გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — სიმფონიური მუსიკა, 09.25—რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — რ. შჩედრინი. ფრაგმენტები ბალეტ „აუზიანი კვიციდან“, 11.45 — მოგითხრობთ „კომუნისტებზე“, 12.15 — სიმღერები ჯ. დათუაშვილის შესრულებით, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — ფ. შობენი. საფორტეპიანო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა; 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ნ. იზამოვი, „უზბეკური სიუიტა“, 13.50 — 'მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს კ. გიორგიანი, 17.40 — მოსწავლეთათვის. „მოთხრობები მეცხრე ხუთწლედზე“, 18.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ბ. სმეტანა. სიმფონიური პოემა, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — ს. კაცი. სიმღერები, 19.45 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „იგავი“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძიღისპირული“, 21.10 — ბ. ჩაიკოვსკი. ნაწყვეტები ოპერა „პიკის ქალიდან“, 22.00 — რადიონარკვევი „შენი ბაღდათ“, 23.30 — გ. ცაბაძე. სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲨᲐᲘᲗᲐᲜ ᲮᲘᲗᲝ.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲚᲘᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ი. ჭავჭავაძის პრ., 74).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობაზე („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲙᲐᲘᲠᲐᲗᲘ“ (ალმა-ათა)

14 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

(სათადარიგო შემადგენლობანი)

დასაწყისი 18 საათზე.

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

(ძირითადი შემადგენლობანი)

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში — 13 ივლისს, ამონემენტებზე — 13 და 14 ივლისს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა 15 ივლისს დილის 10 საათიდან.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 70 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1928 წლიდან, სამამულო ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ᲖᲐᲚᲒᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდისა — 93-22-33. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲣᲔ 11525

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.